საქართველოს სახალხო დამცველი

ბრძანება N370

6 დეკემბერი, 2017 წელი
ქ. თბილისი

ფემიციდზე ზედამხედველობის მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს დებულებისა და ფემიციდის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცებისა და შესახებ

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის 26–ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ფემიციდზე ზედამხედველობის მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს დებულება დანართ N1-ის სახით.

2. დამტკიცდეს ფემიციდის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობა შემდეგი სახით:

ა) საქართველოს სახალხო დამცველი;

ბ) საქართველოს სახალხო დამცველის პირველი მოადგილე;

გ) საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე;

დ) საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

ე) საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

ვ) საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

ზ) საბჭოს მოწვეული წევრები:

ზ.ა) საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი;
ზ.ბ) ქალთა საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენელი;
ზ.გ) კავშირი „საფარის" წარმომადგენელი;
ზ.დ) ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის წარმომადგენელი;
ზ.ე) „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის" წარმომადგენელი;
ზ.ვ) ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის წარმომადგენელი;
ზ.ზ) ქალთა საკონსულტაციო ცენტრი „სახლი" წარმომადგენელი;
ზ.თ) გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელი.

საქართველო, თბილისი 0179, ნ.რამიშვილის ქ.6, ტელ.:(+995 32) 2913814/15 ფაქსი: (+995 32) 2913841
6, N.Ramishvili St., Tbilisi, Georgia, 0179, Tel.: (+995 32) 2913814/15 Fax: (+995 32) 2913841

2. ეს ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ, N6), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

უჩა ნანუაშვილი

საქართველოს სახალხო დამცველი

დანართი N1

დამტკიცებულია

საქართველოს სახალხო დამცველის
2017 წლის 6 დეკემბრის N370 ბრძანებით.

ფემიციდზე ზედამხედველობის მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება განსაზღვრავს ფემიციდზე ზედამხედველობის მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს (შემდგომში – „საბჭო“) სტატუსს, სტრუქტურას, საქმიანობის წესს, უფლებამოსილებას და მის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს.
2. საბჭო თავისი საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით და ამ დებულებით.
3. საბჭო წარმოადგენს სახალხო დამცველთან არსებულ სათათბირო ორგანოს.

მუხლი 2. საბჭოს მიზანი და უფლებამოსილებები

1. საბჭოს საქმიანობის მიზანია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ ფემიციდის შემთხვევების მონიტორინგის ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობა.
2. საბჭო ფემიციდის შემთხვევების მონიტორინგის მიზნით სახალხო დამცველს წარუდგენს მოსაზრებებს შემდეგ საკითხებზე:
ა) ფემიციდის შემთხვევების მონიტორინგის მიზნით განსახორციელებელი აქტივობების შესახებ;
ბ) ფემიციდის მონიტორინგის სტრატეგიის და პრიორიტეტების შესახებ;
გ) ფემიციდის მონიტორინგისას განსახორციელებელი აქტივობების გეგმის შესახებ;
დ) ფემიციდის მონიტორინგის სამუშაო მეთოდოლოგიის შესახებ;
ე) ფემიციდის თემატური კვლევების შესახებ;
ვ) მონიტორინგის განმახორციელებელ პირთა კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ;
ზ) ფემიციდის შემთხვევების მონიტორინგისათვის საჭირო სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.
3. საბჭოს გადაწყვეტილებას აქვს სარეკომენდაციო ხასიათი
4. საბჭოს მოწვეულ წევრს უფლება აქვს ჩაერთოს მონიტორინგის პროცესში, რომელიც არ ხორციელდება სახალხო დამცველის მანდატით.

6. საბჭოს თითოეული წევრი უფლებამოსილია ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით დააფიქსიროს საკუთარი განსხვავებული პოზიცია, რომელიც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.
7. საბჭოს წევრს უფლება არა აქვს:
ა) გააკეთოს საჯარო განცხადება, რომელმაც შესაძლოა დააზიანოს ფემიციდზე ზედამხედველობის პროცესი ან/და ხელი შეუშალოს საბჭოს საქმიანობას;
ბ) გაამჟღავნოს საბჭოს საქმიანობის პროცესში მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

მუხლი 3. საბჭოს შემადგენლობა

1. საბჭო იქმნება საქართველოს სახალხო დამცველის ბრძანებით.
2. საბჭოს წევრთა შემადგენლობაში შედიან:
ა) სახალხო დამცველი;
ბ) სახალხო დამცველის პირველი მოადგილე;
გ) სახალხო დამცველის მოადგილე;
დ) სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის უფროსი;
ე) სახალხო დამცველის აპარატის სისხლისა და მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსი;
ვ) სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის უფროსი;
ზ) საბჭოს მოწვეული წევრები, რომელთა შემადგენლობას ორი წლის ვადით ამტკიცებს საქართველოს სახალხო დამცველი.
3. საბჭოს მოწვეული წევრების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 8 პირს. საბჭო უფლებამოსილია მოწვეულ წევრთა არანაკლებ ნახევარის (4 წევრის) დამტკიცების შემთხვევაში.
4. საბჭოში მოწვეული წევრი შეიძლება იყოს:
ა) ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი;
ბ) ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი.
5. საბჭოში წევრის მოწვევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი გამოცდილება, რეპუტაცია და მიუკერძოებლობა.

მუხლი 4. საბჭოს წევრობის კრიტერიუმები

საბჭოში მოწვეული წევრები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაცია, რომელიც დარეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; არ

წარმოადგენს სახელმწიფო ან/და თვითმმართველობის ორგანოების მიერ განხორციელებული პროგრამების ფარგლებში მომსახურების მიმწოდებელს; გააჩნია სფეროში მუშაობის მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილება;
ბ) ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი (ექსპერტი): პირი, რომელსაც აქვს სფეროში მუშაობის მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილება.

მუხლი 5. საბჭოს წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტა

1. საბჭოს წევრს შეიძლება უფლებამოსილება შეუწყდეს საქართველოს სახალხო დამცველის გადაწყვეტილებით შემდეგი საფუძვლებით:
ა) პირადი განცხადება;
ბ) არასაპატიო მიზეზით სამჯერ ზედიზედ საბჭოს სხდომაზე გამოუცხადებლობა;
გ) არსებობს ისეთი გარემოება რომელიც ეჭვქვეშ დააყენებს მის მიუკერძოებლობას;
დ) ამ დებულების მოთხოვნების დარღვევის გამო;
ე) კანონმდებლობით დადგენილი წესით უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან გარდაცვლილად გამოცხადება;
ვ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
ზ) გარდაცვალება.

მუხლი 6. საბჭოს საქმიანობის წესი

1. საბჭო საქმიანობას ახორციელებს სხდომების მეშვეობით. საბჭოს სხდომა ტარდება, თუ სხდომას ესწრება საბჭოს წევრების ნახევარი, მათ შორის, სულ მცირე, საბჭოს მოწვეულ წევრთა ნახევარი მაინც.
2. საბჭოს იწვევს და ხელმძღვანელობს საქართველოს სახალხო დამცველი, ხოლო მისი არყოფნისას, საქართველოს სახალხო დამცველის პირველი მოადგილე/სახალხო დამცველის მოადგილე.
3. საბჭოს მოწვეულ წევრთა უმრავლესობას შეუძლია საბჭოს მოწვევის შესახებ დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნით მიმართოს საქართველოს სახალხო დამცველს. ასეთ შემთხვევაში საბჭოს მოწვევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს სახალხო დამცველი წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.
4. საბჭოს საქმიანობას კოორდინაციას უწევს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის უფროსი.
5. საბჭო იკრიბება საჭიროებისამებრ, მაგრამ ორ თვეში ერთხელ მაინც. სახალხო დამცველს უფლება აქვს მოიწვიოს საბჭოს საგანგებო სხდომა.

6. საბჭოს სხდომის მოწვევისა და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შესახებ წინასწარ, არანაკლებ 7 დღით ადრე ეცნობება საბჭოს წევრებს, გარდა საბჭოს რიგგარეშე შეკრებისა.
7. საბჭოს სხდომის მიმდინარეობის შესახებ დგება ოქმი, რომელშიც აისახება სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებები. ოქმის შედგენას უზრუნველყოფს საბჭოს სამდივნო, რომლის შემადგენლობაში შედის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი. სხდომის ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.
8. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სახალხო დამცველის ხმა.
9. საბჭოს წევრების საქმიანობა ანაზღაურებადი არ არის.
10. საბჭოს სხდომა შესაძლებელია გაიმართოს გაფართოებული ფორმატით, შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისა და სხვა ორგანიზაციების/დაინტერესებულ პირთა მონაწილეობით.